საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 1694 2019 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

ქ. თბილისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტს – ქ. თბილისში, ახოსპირელის ქ. №8/ლ. ასათიანის ქ. №9-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.053.011).

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის

მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**